ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N52

ქ.თბილისი

10 იანვარი, 2020 წელი
13^{00}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ირაკლი ზარქუა

მიხეილ ამაშუკელი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

რამინა ბერაძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ გრიგოლია - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ბექა დავითულიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ვლადიმერ ძნელაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე.

ქეთევან ჯოხაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უნგრეთში მივლინებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 13 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით მიემგზავრება უნგრეთში, ქ.ბუდაპეშტში, წყალბურთში ევროპის ჩემპიონატის საფინალო ტურნირზე დასასწრებად, სადაც იასპარეზებს საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები. მასთან ერთად, უნგრეთში მიემგზავრება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბექა დავითულიანი. 2020 წლის 13 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით, მის მოვალეობას შეასრულებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ზარქუა. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მივლინების ხარჯებს აანაზღაურებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. 2020 წლის 13 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით უნგრეთში, ქ.ბუდაპეშტში, მივლინებული იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და მასვე დაევალოს, მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისა და ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ბრძანების გამოცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე